



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)  
დადგენილება № 01-06-02/37

ა. თბილისი

30 სექტემბერი 2021

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის  
ფაკულტეტისთვის დასახელების შეცვლის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ნ“ ქვეპუნქტების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სტუ-ის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საბჭოს 2020 წლის 22 ივლისის სხდომის №9 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 ივნისის №01-05-04/75 დადგენილების და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 სექტემბრის №01-06-02/10 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ დაადგინა:

1. შეეცვალოს დასახელება უნივერსიტეტის სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტს და ეწოდოს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი.

2. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოსა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) 2021 წლის 30 ივნისის ერთობლივი სხდომის №01-05-17/05 დადგენილებით დამტკიცებულ სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დებულებაში შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) დებულების დასახელება ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დებულება“;

ბ) დებულების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ეს დებულება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების საფუძველზე განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის (შემდგომში „ფაკულტეტი“) მიზნებსა და ამოცანებს, ფაკულტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, მართვის ორგანოებისა და პერსონალის დანიშვნისა და არჩევის წესს, მათ უფლება-მოვალეობებს, ფაკულტეტის მართვის პრინციპებს, ასევე ფაკულტეტის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

გ) დებულების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ფაკულტეტის სრული სახელწოდებაა: სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი, ინგლისურად – Faculty of Transport Systems and Mechanics Engineering.“.

3. დადგენილების პირველი და მეორე პუნქტები ამოქმედდეს 2021 წლის 11 ოქტომბრიდან.

4. ფაკულტეტის დასახელების ცვლილებასთან დაკავშირებით შეტანილი იქნეს შესაბამისი ცვლილებები უნივერსიტეტის სტრუქტურასა და ერთიან საშტატო ნუსხაში.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

